

ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №24
2022 წლის 28 დეკემბერი

ქ. ხონი

ხონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და 91-ე მუხლის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლი მე-2 ნაწილის შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს დამტკიცდეს ხონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი თანდართული რედაქციით:

ხონის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ვალერი ბახტაძე

დანართი

თავი I

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის გეგმა			2023 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	15,174.5	7,219.9	7,954.6	15,340.8	8,400.0	6,940.8	9,727.1	9,502.1	225.0
გადასახადები	6,831.1	6,831.1	-	8,045.0	8,045.0	-	9,117.1	9,117.1	-
გრანტები	7,954.6	-	7,954.6	6,940.8	-	6,940.8	225.0	-	225.0
სხვა შემოსავლები	388.8	388.8	-	355.0	355.0	-	385.0	385.0	-
II. ხარჯები	7,238.4	6,953.7	284.8	9,568.4	9,269.0	299.4	10,690.2	10,465.2	225.0
შრომის ანაზღაურება	1,248.3	1,195.3	53.0	2,271.0	2,215.0	56.0	2,502.5	2,410.0	92.5
საქონელი და მომსახურება	1,220.1	1,096.7	123.3	2,008.8	1,889.4	119.4	2,106.8	2,106.8	-
პროცენტი	26.6	26.6	-	28.6	28.6	-	28.6	28.6	-
სუბსიდიები	3,852.4	3,745.4	107.0	4,228.6	4,104.6	124.0	5,094.7	4,962.2	132.5
გრანტები	6.6	6.6	-	7.0	7.0	-	8.0	8.0	-



სოციალური უზრუნველყოფა	788.5	788.5	-	869.7	869.7	-	772.6	772.6	-
სხვა ხარჯები	96.1	94.7	1.5	154.8	154.8	-	177.0	177.0	-
III. საოპერაციო სალდო	7,936.1	266.3	7,669.8	5,772.4	- 869.0	6,641.4	- 963.1	- 963.1	-
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,609.2	- 187.3	5,796.6	9,402.7	384.0	9,018.7	- 1,014.5	- 1,014.5	-
ზრდა	6,240.6	444.1	5,796.6	9,922.7	904.0	9,018.7	80.0	80.0	-
კლება	631.4	631.4		520.0	520.0		1,094.5	1,094.5	
V. მთლიანი სალდო	2,326.8	453.6	1,873.2	- 3,630.3	- 1,253.0	- 2,377.3	51.4	51.4	-
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	2,275.5	402.3	1,873.2	- 3,681.7	- 1,304.4	- 2,377.3	-	-	-
ზრდა	1,873.2	-	1,873.2	-	-	-	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	1,873.2		1,873.2	-			-	-	
სესხები	-			-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-			-			-		
კლება	- 402.3	- 402.3	-	3,681.7	1,304.4	2,377.3	-	-	-
ვალუტა და დეპოზიტები	- 402.3	- 402.3		3,681.7	1,304.4	2,377.3	-	-	-
სესხები	-			-			-		
აქციები და სხვა კაპიტალი	-			-			-		
VII. ვალდებულებების ცვლილება	- 51.3	- 51.3	-	- 51.4	- 51.4	-	- 51.4	- 51.4	-
კლება	51.3	51.3	-	51.4	51.4	-	51.4	51.4	-
საშინაო	51.3	51.3	-	51.4	51.4	-	51.4	51.4	-
სესხები	-			51.4	51.4		51.4	51.4	
სხვა კრედიტორული დავალიანებები	51.3	51.3	-	-			-		
VIII. ბალანსი	- 0.0	- 0.0	- 0.0	0.0	- 0.0	-	- 0.0	- 0.0	-

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

		2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
--	--	-----------------	-----------------



დასახელება	2021 წლის ფაქტი			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	15,805.9	7,851.3	7,954.6	15,860.8	8,920.0	6,940.8	10,821.6	10,596.6	225.0
შემოსავლები	15,174.5	7,219.9	7,954.6	15,340.8	8,400.0	6,940.8	9,727.1	9,502.1	225.0
არაფინანსური აქტივების კლება	631.4	631.4	-	520.0	520.0		1,094.5	1,094.5	-
გადასახდელები	13,530.4	7,449.1	6,081.4	19,542.5	10,224.4	9,318.1	10,821.6	10,596.6	225.0
ხარჯები	7,238.4	6,953.7	284.8	9,568.4	9,269.0	299.4	10,690.2	10,465.2	225.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	6,240.6	444.1	5,796.6	9,922.7	904.0	9,018.7	80.0	80.0	-
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-			-			-		
ვალდებულებების კლება	51.3	51.3	-	51.4	51.4	-	51.4	51.4	-
ნაშთის ცვლილება	2,275.5	402.3	1,873.2	- 3,681.7	- 1,304.4	- 2,377.3	-	-	-

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 9727.1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი			2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
					საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	15,174.5	7,219.9	7,954.6	15,340.8	8,400.0	6,940.8	9,727.1	9,502.1	225.0
გადასახადები	6,831.1	6,831.1	-	8,045.0	8,045.0	-	9,117.1	9,117.1	-
გრანტები	7,954.6	-	7,954.6	6,940.8	-	6,940.8	225.0	-	225.0
სხვა შემოსავლები	388.8	388.8		355.0	355.0		385.0	385.0	

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები განისაზღვროს 9117.1 ათასი ლარით:

ათას ლარში



დასახელება	2021 წლის ფაქტი		2022 წლის ფაქტი			2023 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
გადასახადები	6,831.1	6,831.1	- 8,045.0	8,045.0	-	9,117.1	9,117.1	-
საშემოსავლო გადასახადი	-	-	-	-	-	-	-	-
დამატებითი ღირებულების გადასახადი	6,409.4	6,409.4	7,650.0	7,650.0	-	8,747.1	8,747.1	-
ქონების გადასახადი	421.7	421.7	- 395.0	395.0	-	370.0	370.0	-
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	292.2	292.2	250.0	250.0	-	290.0	290.0	-
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-	-	-	-	-	-	-	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	4.2	4.2	5.0	5.0	-	-	-	-
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	92.5	92.5	100.0	100.0	-	40.0	40.0	-
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	32.8	32.8	40.0	40.0	-	40.0	40.0	-

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 225,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
გრანტები	7,954.6	6,940.8	225.0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	-	-	-
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	7,954.6	6,940.8	225.0
გათანაბრებითი /სპეციალური ტრანსფერი	-	-	-
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	160.0	180.0	225.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად (სკოლები)	120.8	219.4	-
კაპიტალური ტრანსფერი	7,673.8	6541.4	-
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	-	-	-



სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	-	-	
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები			
აზიური ფაროსანის წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ	-		

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 385,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	388.8	355.0	385.0
შემოსავლები საკუთრებიდან	181.7	165.0	190.0
პროცენტები	114.8	65.0	60.0
დივიდენდები			-
რენტა	66.9	100.0	130.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	59.9	70.0	75.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	40.5	40.0	50.0
სანებართვო მოსაკრებელი	5.5	10.0	20.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	35.0	30.0	30.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	19.4	30.0	25.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	53.8	70.0	70.0
წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები			
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	93.4	50.0	50.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით
ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 10690.2 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი				2022 წლის გეგმა		2023 წლის გეგმა		
					სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	
								საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	7,238.4	6,953.7	284.8	9,568.4	9,269.0	299.4	10,690.2	10,465.2	225.0
შრომის ანაზღაურება	1,248.3	1,195.3	53.0	2,271.0	2,215.0	56.0	2,502.5	2,410.0	92.5



საქონელი და მომსახურება	1,220.1	1,096.7	123.3	2,008.8	1,889.4	119.4	2,106.8	2,106.8	-
პროცენტები	26.6	26.6	-	28.6	28.6	-	28.6	28.6	-
სუბსიდიები	3,852.4	3,745.4	107.0	4,228.6	4,104.6	124.0	5,094.7	4,962.2	132.5
გრანტები	6.6	6.6	-	7.0	7.0	-	8.0	8.0	-
სოციალური უზრუნველყოფა	788.5	788.5	-	869.7	869.7	-	772.6	772.6	-
სხვა ხარჯები	96.1	94.7	1.5	154.8	154.8	-	177.0	177.0	-

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს -1014,5 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა - 80,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 1094,5.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	28.8	115.7	25.0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	28.8	115.7	25.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	5,653.4	9,493.2	30.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5,158.0	7,020.4	30.0
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	440.9	550.4	-
02 03	გარე განათება	18.4	90.0	-
02 04	კეთილმოწყობის ღონისძიებები	36.2	1,832.5	-
02 05	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა	-	-	-
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	-	-	-
02 07	წყლის სისტემების მოწყობა	-	-	-
		-	-	-
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	2.6	76.5	-
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	2.6	76.5	-
	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	-	-	-
04 00	განათლება	175.6	123.1	15.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	8.3	12.5	15.0
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	167.2	110.6	-



04 03 02	კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა			5.0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	268.4	114.2	5.0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	42.0	13.8	-
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4.3	6.5	5.0
05 07	კულტურული და სახელოვნებო ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია	222.1	93.9	-
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4.0	-	-
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	4.0	-	-
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	6,132.7	9,922.7	80.0
	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
	არაფინანსური აქტივების კლება	631.4	520.0	1,094.5
	ძირითადი აქტივები	101.2	220.0	1,094.5
	არაწარმოებული აქტივები	530.2	300.0	-
	მიწა	530.2	300.0	-

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,102.3	4,007.2	4,201.8
7.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,024.4	3,927.2	4,121.8
7.1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,024.4	3,765.2	4,071.8
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	-	162.0	50.0
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	77.9	80.0	80.0
7.2	თავდაცვა	79.2	154.0	169.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	79.2	154.0	169.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,634.1	9,419.8	90.0
7.4 5	ტრანსპორტი	5,159.7	7,030.4	50.0



7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,159.7	7,030.4	50.0
7.4.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	474.4	2,389.5	40.0
7.5	გარემოს დაცვა	714.6	867.0	855.0
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	685.3	867.0	855.0
7.5.3	გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა	29.3	-	-
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	530.7	635.0	584.0
7.6.1	ბინათმშენებლობა	4.1	-	-
7.6.4	გარე განათება	317.6	420.0	350.0
7.6.6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	209.1	215.0	234.0
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	131.9	134.0	134.5
7.7.4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	131.9	134.0	134.5
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,536.4	1,405.4	1,424.7
7.8.1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	322.5	302.8	324.0
7.8.2	მომსახურება კულტურის სფეროში	1,023.9	919.5	914.5
7.8.3	ტელერადიომუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	33.0	33.0	36.2
7.8.4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	157.0	150.0	150.0
7.9	განათლება	1,772.7	1,938.0	2,359.5
7.9.1	სკოლამდელი აღზრდა	1,427.9	1,590.0	1,970.0
7.9.2	ზოგადი განათლება	344.8	348.0	389.5
7.9.2.2	საბაზო ზოგადი განათლება	344.8	348.0	389.5
7.10	სოციალური დაცვა	1,062.3	1,016.6	1,003.1
7.10.1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	584.0	513.6	513.5
7.10.2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	34.7	35.0	0.5
7.10.3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	5.5	7.0	7.0
7.10.4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	17.2	22.9	22.9
7.10.6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	0.2	0.7	0.7
7.10.7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	413.9	431.4	452.5
7.10.9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	6.8	6.0	6.0
	სულ	13,564.2	19,577.0	10,821.6



მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -51,4 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო -963,1 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	7,936.1	5,772.4	- 963.1
მთლიანი სალდო	2,326.8	- 3,630.3	51.4

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ათას ლარში

დასახელება	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა	2023 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	2,275.5	- 3,681.7	-
ზრდა	1,873.2	-	-
ვალუტა და დეპოზიტი	1,873.2	-	-
კლება	- 402.3	3,681.7	-
ვალუტა და დეპოზიტი	- 402.3	3,681.7	-

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 51.4 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან 2017 წელს მიღებული სესხის ძირითადი თანხის დაფარვას. 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის სასახო ვალდებულებები ჯამში შეადგენს 216.981 ათას ლარს.

თავი II

ხონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის განვითარება

1. პრიორიტეტი: ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება, როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 400.0 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში



02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	400.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	50.0
02 01 01	გზების კაპიტალური შეკეთება	30.0
02 01 02	გზების მიმდინარე შეკეთება	10.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	10.0
02 02	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	-
02 03	გარე განათება	350.0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	350.0

პროგრამა: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01)

საგზაო ინფრასტრუქტურის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის სამუშაოები ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად მიმდინარეობს. სამუშაოები მოიცავს ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა-რეაბილიტაციას. არასაფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკებას; ზამთრის პერიოდში გზების თოვლისგან გაწმენდას. საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში მოხდება გზების რეაბილიტაცია-კაპიტალური შეკეთება როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი დაფინანსებით.

ქვეპროგრამა: გზების კაპიტალური შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 01) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ხონის მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების, ტროტუარების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზების მოწყობა.

ქვეპროგრამის მიზანია საავტომობილო გზებზე მგზავრთა უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

ქვეპროგრამა: გზების მიმდინარე შეკეთება (პროგრამული კოდი 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ორმოული დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება, გრუნტის საფარის მოსწორება და მოხრეშვა-მოშანდაკება.

პვეპროგრამის მიზანია გზებზე მგზავრთა გადაადგილების გამარტივება.

ქვეპროგრამა: საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საგზაო ნიშნების განთავსება. ზებრა გადასასვლელების მოწყობა, შუქნიშნების მიმდინარე შეკეთება. გზებზე ჩამონაშალის გაწმენდა და სხვადასხვა ღონისძიების გატარება რომელიც მიმართულია მგზავრთა უსაფრთხოდ გადაადგილებისთვის.

ქვეპროგრამა: გარე განათება (პროგრამული კოდი 02 01 03)

დამის პერიოდში მუნიციპალიტეტში, უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ხონში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რომელიც მოიცავს



შემდეგ ღონისძიებებს:

გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას.

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1089,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,089.0
03 01	დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება	855.0
03 02	სასაფლაოების მოვლა პატრონობა	154.0
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	-
03 04	ადმინისტრაციული შენობების მოვლა დასუფთავება	80.0

ქვეპროგრამა: დასუფთავება, ნარჩენების გატანა და სხვა კომუნალური მომსახურება (პროგრამული კოდი 03 01)

ხონის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. დასუფთავების ღონისძიებებთან დაკავშირებული კაპიტალური ხარჯები ძირითადად გაიწევა მუნიციპალური ბიუჯეტის შემოსავლებიდან.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ხონის მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვის ცენტრი ანხორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, რომელსაც ემსახურება 3 ერთეული ავტომობილი. სამუშაოები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: გორდი, კინჩხა, ხიდი, მათხოჯი, ნახახულევი, კონტუათი, გუბი, კუხი, ახალშენი, ნამაშევი, ივანდიდი, ქუტირი. შეგროვებული ნარჩენები გადის სამტრედიის ნაგავსაყრელზე.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის სულ მცირე 20 მ/კუბ ნარჩენი რაზეც ყოველდღიურად მუშაობს 2 ნაგავმზიდი ავტომობილი.

დასუფთავების სამსახური უზრუნველყოფს ქალაქის ცენტრალური ნაწილის დაგვა დასუფთავებასა და ყოველდღიურად დამატებით ნარჩენების გატანას.

ქვეპროგრამიდან ასევე ფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, ახალი ნარგავების დარგვა. პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით, ხორციელდება მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, გარე განათების ქსელის ტექნიკური მომსახურება (ნათურების შეძენა და შეცვლა) აღნიშნული ღონისძიებები ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში სუფთა და ლამაზი გარემოს შექმნას.

ქვეპროგრამა: სასაფლაოების მოვლა პატრონობა (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქის 128481კვ/მეტრის სასაფლაოს მოვლა-პატრონობა. კერძოდ: პირველი უბნის ,მე-3 უბნის (ძველი) ,მე-3 უბნის (ახალი) , ვ. ბახტაძის ქუჩაზე მდებარე, ქარჩხაბის ძველი და ახალი ,მე-4 უბნის,ზ.კაკაბაძის ქუჩაზე მდებარე ქალაქის სასაფლაოები და სოფელ საწულუკიძის სასაფლაო 12126კვ/მეტრი. ამ სასაფლაოების მთლიანი ფართობი შეადგენს 140607კვ/მ.

ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ხონის სასაფლაო მეურნეობის მართვის სამსახური უზრუნველყოფს:
- სასაფლაოების ღობის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება და შეღებვას;



- სასაფლაოების გაცელებით და შეწამვლით სამუშაოების შესრულებას.
 ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება - სასაფლაოებიდან ნაჩენების გატანა, აღდგომის დრესასწაულთან დაკავშირებით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოებზე ქვიშის შეტანა, გამხმარი და დაზიანებული ხეების მოჭრა-დამუშავება. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგია მოვლილი სასაფლაოები.

ქვეპროგრამა: ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება, ელექტრო სისტემებისა და სანტექნიკის შესაკეთებელი სამუშაოების განხორციელება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება	დაფინანსება ათას ლარში
	03 04		80,0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს აფხაზეთი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ქალაქში მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობების მოვლა-დასუფთავება, ელექტრო სისტემებისა და სანტექნიკის შესაკეთებელი სამუშაოების განხორციელება.		
მოსალოდნელი შედეგი	დასუფთავებული ადმინისტრაციული შენობები კომუნალური და ელექტრო სისტემების გამართული ფუნქციონირება		

მუხლი 15. პრიორიტეტი განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2359.5 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

განათლება და განათლებული მომავალი თაობის აღზრდა მთავრობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია და შესაბამისად ხონის მუნიციპალიტეტისთვისაც უაღრესად მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს. მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა, რეაბილიტაცია, აღმზრდელ-პედაგოგების კვალიფიკაციის გაზრდა, რათა მყარი საფუძველი ჩაეყაროს სკოლამდელი ასაკის აღსაზრდელების ხარისხიან და ეფექტურ მომზადებას სასკოლო განათლების მისაღებად. პრიორიტეტის ფარგლებში დაგეგმილია საბავშვო ბაღების გაერთიანება პროგრამის განხორციელება და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა.

ათას ლარში

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
04 00	განათლება	2,359.5
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	1,970.0
04 02	განათლებისა და სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა და სხვა მიმდინარე ღონისძიებები	-



04 03	არაფორმალური განათლება	389.5
04 03 01	მოსწავლე ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა	187.0
04 03 02	კომპიუტერისა და ინგლისური ენის შესწავლის ხელშეწყობა	71.0
04 03 03	ტექნიკური შემოქმედებითი განათლების ხელშეწყობა	131.5

ქვეპროგრამა: სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება დაფინანსდება 1700,0 ათასი ლარით.

ხონის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 20 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 750-ზე მეტი ბავშვი. ბაგა-ბაღებში ჯამში დასაქმებულია 261 პერსონალი, ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ქვეპროგრამა: არაფორმალური განათლების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 04 03)

ქვეპროგრამა მოიცავს მრავალპროფილიან საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებს, რომლებიც თავისი სტრუქტურით მრავალი მიმართულებით ემსახურება 6 წლიდან ბავშვებს, მოზარდებსა და ახალგაზრდებს. დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი სამუშაოების ძირითად ფორმას წარმოადგენს საწრეო, სტუდიური და საკლუბო სამუშაოები სადაც ძირითადად ხორციელდება არაფორმალური განათლების მიღება, რომელიც მიზნად ისახავს ბავშვის უნარ-ჩვევების, კომპეტენციების, ღირებულებების განვითარებასა და ჩამოყალიბებას არაფორმალურ, ბუნებრივ გარემოში, სადაც ბავშვებს უქმნიან მოტივაციას, იმოქმედონ და ისწავლონ საკუთარი ინტერესების მიხედვით.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს: ა(ა)იპ ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი, რომლის ბაზაზე ფუნქციონირებს სამუსიკო, ვოკალური და ქორეოგრაფიული სტუდიები, 8 წრე და 3 კლუბი, მათ შორის: ქართული ხალხური სიმღერებისა და საკრავთა, მხატვრული კითხვისა და ლიტერატურული დაოსტატების, ქართული ენის გრამატიკისა და ლიტერატურის, სამართალმცოდნეობის, გიტარის შემსწავლელი და მხატვრული ტანვარჯიშის წრეები. ფოტო-კინო ხელოვნების, შემეცნებითი და ინტელექტუალური თამაშების, მხარედმცოდნეობისა და ტურიზმის კლუბები. თოჯინებისა და ლიტერატურული თეატრები. ცენტრი წლის განმავლობაში ემსახურება 500 ზე მეტ ბენეფიციარს. 2023 წლის ბიუჯეტით ცენტრს გამოეყოფა 170,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპხონის მუნიციპალიტეტის ინფორმატიკის სასწავლო ცენტრი აერთიანებს 2 წრის მიმართულებას, მოსწავლე ახალგაზრდობაში ინგლისური ენისა და კომპიუტერის შესწავლა. სწავლება მიმდინარეობს უფასოდ, მშობლის განცხადების საფუძველზე. დაკომპლექტებულია ძირითადად სოციალურად დაუცველი ბავშვებით. თითოეულ ჯგუფში ირიცხება 6-8 მოსწავლე. სასწავლო კურსის ხანგრძლივობაა კომპიუტერის შემსწავლელ კურსის 3 თვე, ინგლისურის კურსის 1 წელი. გაკვეთილის ხანგრძლივობა ერთი საათი. ჯგუფები კომპლექტდება ტესტირების საფუძველზე. სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ საგამოცდო კომისიის მიერ ტარდება გამოცდა და მოსწავლეებს გადაეცემა სერთიფიკატი. ჩარიცხული მოსწავლეთა რაოდენობა სასწავლო წლისთვის დაახლოებით შეადგენს 75 მოსწავლეს.

პროგრამის მიზანია: ხელი შეუწყოს მოზარდებში კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის



შესწავლას, მეტი მოზარდის ჩართვას კომპიუტერული უნარ-ჩვევების და ინგლისური ენის გამოყენებას ყოველდღიურ ცხოვრებაში.

2023 წლის ბიუჯეტით ინფორმატიკის სასწავლო ცენტრს გამოეყოფა 65,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლიც ასევე წარმოადგენს სკოლისგარეშე სასწავლო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც გაერთიანებულია შემდეგი წრეები: ტექნიკური მოდელირების, ახალგაზრდა გამომგონებლების, ქიმია-ლაბორატორიის, ნორჩ ეკოლოგთა, ქიმიური მეწარმეობის საფუძვლების, ფიზიკის, მათემატიკის, ზოგადი უნარების, ინფორმატიკისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, კომპიუტერული მოდელირების, თანამედროვე ტექნოლოგიების, მაკეტირება და ხაზვის, გამოყენებითი ხელოვნების, დიზაინის, ქსოვის, დაწყებითი ტექნიკური მოდელირების, რელიგია და კულტურის, ფოლკლორის, მხატვრული კითხვის, ინგლისური ენის, ლიტერატურული სალონის, რადიოტექნოლოგია და ვიდეოკომუნიკაციის, დებატ კლუბის"თაობათა ცვლა"-ს, აქტიური მოქალაქეების კლუბის, ვაჟთა ვოკალური ჯგუფის, ფოტომოყვარულთა ჯგუფის.

ა(ა)იპ ხონის ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლის მიზანია მოსწავლე-ახალგაზრდობას განუვითაროს ინტერესი საწარმოო საქმიანობის და გამომგონებლობისადმი, ჩამოუყალიბოს ტექნიკურ-შემოქმედებითი აზროვნება, განუმტკიცოს საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნა და დახმარება გაუწიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეებს დამატებითი საბაზისო ცოდნის მიღებაში, გამოუმუშაოს მაღალი ესთეტიკური კულტურა, ხელი შეუწყოს მათ მოსწავლეების პროფესიულ ორიენტაციას, ასევე დიდი ყურადღება მიაქციოს ახალგაზრდა გამომგონებელთა ჯგუფის წარმატებულ საქმიანობას.

2023 წლის ბიუჯეტით ახალგაზრდა ტექნიკოსთა სახლს გამოეყოფა 120,0 ათასი ლარი.

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1424.7 ათასი ლარით. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2023 წლის გეგმა
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	1,424.7
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	324.0
05 01 02	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	304.0
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	20.0
05 02	კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება	739.5
05 02 01	სამხატვრო სკოლის ხელშეწყობა	68.0
05 02 02	მუზეუმის ხელშეწყობის პროგრამა	78.5



05 02 03	ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა	141.0
05 02 04	სამუსიკო სკოლის ხელშეწყობა	256.0
05 02 05	თეატრის განვითარების ხელშეწყობა	196.0
05 03	საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა	36.2
05 04	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	15.0
05 05	კულტურის ღონისძიებები	160.0
05 06	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	150.0

ქვეპროგრამა: სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამა აერთიანებს 10 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ფეხბურთი (70 ბავშვი); თვისუფალი ჭიდაობა (78 ბავშვი); რაგბი (18 ბავშვი) კალათბურთი (45 ბავშვი) კიო-კუშინ კარატე (10 ბავშვი) კარატე (40 ბავშვი) კრივი (12 ბავშვი) მძლეოსნობა (45 ბავშვი), ჭადრაკი (12 ბავშვი); ძალოსნობა (15 ბავშვი) გოგონათა ფეხბურთი (14 ბავშვი). სულ ცენტრში სპორტის სხვადასხვა სახეობებს ეუფლება 362 ბავშვი, სასპორტო სკოლის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დღეებში სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში.

ქვეპროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;
- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;
- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

ქვეპროგრამა: სპორტული დაწესებულების ხელშეწყობა (ორგანიზაციული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამით ხორციელდება ისეთი სპორტული ღონისძიებების დაფინანსება, როგორიცაა სასკოლო სპორტული ოლიმპიადი, სპორტი ბარიერების გარეშე, საფეხბურთო ჩემპიონატები, როგორც გოგონებს, ასევე ვაჟებს შორის, გამოჩენილი სპორტსმენების ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირები კალათბურთსა და ფეხბურთში, ქალთა დღისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებები, მუნიციპალური პირველობა ნარდსა და შაშში, სასკოლო ჩემპიონატები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, წარმატებულ სპორტსმენების, წარმატებული მწვრთნელების და ღვაწლმოსილი სპორტსმენების დაჯლდობა, საერთაშორისო ტურნირებზე ხონელი სპორტსმენების დაფინანსება,

ქვეპროგრამა: კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარება (ორგანიზაციული კოდი 05 02)

ქვეპროგრამა გულისხმობს ხონის მუნიციპალიტეტში კულტურულ, სახელოვნებო, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მომავალი თაობის შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამალვას. ა(ა)იპ ხონის კულტურის ცენტრში გარდა სახალხო თეატრისა გაერთიანებულია შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: სოფელ მათხოჯის კულტურის სახლი, სოფ.კუხის კლუბი, სოფ. დედალაურის კლუბი, სოფ. კონტუათის კლუბი, სოფ. პატარა ჯიხაიშის კლუბი, სოფ. გოჩა ჯიხაიშის კლუბი. ცენტრში ფუნქციონირებს სასულე ორკესტრი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლი, ვოკალური ანსამბლი "პრესტო", იომორისტული ჯგუფი "იპოლიტელები", ლიტერატურული სალონი, ბავშვთა ლიტერატურული წრე, სახალხო თეატრი, ბავშვთა ნიღბების თეატრი, თოჯინების თეატრი. 2023 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხა შეადგენს 180,0 ათას ლარს.

ცენტრის ძირითადი მიზანია კულტურული და შემოქმედებითი მუშაობა, მუნიციპალიტეტის თეატრალური და კულტურული ტრადიციების აღდგენა , გაცვლითი პროგრამები საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის, მოსწავლეთა ურთიერთდაახლოვება, ხელოვნებისადმი მიდრეკილების გაღვივება, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა, ადგილობრივ შემოქმედთა შემოქმედების



პოპულარიზაცია, ფოლკლორით დაინტერესება.

ა(ა)იპ ხონის სამხატვრო სკოლა ახორციელებს სახელოვნებო სამხატვრო პროგრამას დაწყებითი სამხატვრო განათლების ფარგლებში. მოსწავლეები შეისწავლიან: ხატვას, ფერწერას, კომპოზიციას, ძერწვას, კერამიკის და ხელოვნების ისტორიის საფუძვლებს. მოსწავლეები სკოლის სრული პროგრამის გავლის შემდეგ, მზად არიან სწავლა გააგრძელონ შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში. მონაწილეობენ ადგილობრივ რეგიონულ და რესპუბლიკურ გამოფენებზე. სწავლის პროცეს უძღვება 7 პედაგოგი, სწავლის ხანგძლივობა 6 წელია, სკოლაში სწავლობს 70-ზე მეტი მოსწავლე. 2023 წლისათვის დაფინანსება შეადგენს 62,0 ათას ლარს.

ა(ა)იპ ხონის ისტორიული მუზეუმი აერთიანებს მხარის ისტორიის, პოლიკარპე კაკაბაძის, ირ. აბაშიძისა და საბრძოლო დიდების განყოფილებებს, სულ 22661 ექსპონატით. ქვეპროგრამის მიზანია გააცნოს ვიზიტორებს კუთხის ისტორია, ცნობილ მოღვაწეთა ცხოვრება და მოღვაწეობა, ახალგაზრდობას ჩაუნერგოს ქვეყნის სიყვარული. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 2000-ს. დაფინანსება 72.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ხონის მთავარი ბიბლიოთეკაში შედის ერთი მთავარი და 15 სასოფლო ბიბლიოთეკა. სასოფლო ბიბლიოთეკები: მათხოჯის ბიბლიოთეკა, გუბის ბიბლიოთეკა, ქუტირის ბიბლიოთეკა, ახალბედისეულის ბიბლიოთეკა, ივანდიდის ბიბლიოთეკა, ნახახულევის ბიბლიოთეკა, დედალაურის ბიბლიოთეკა, გოჩა-ჯიხაიშის ბიბლიოთეკა, გელავერის ბიბლიოთეკა, გორდის ბიბლიოთეკა, კინჩხის ბიბლიოთეკა, კუხის ბიბლიოთეკა, სუხჩის ბიბლიოთეკა, ძეძილეთის ბიბლიოთეკა, ღვედის ბიბლიოთეკა, წიგნადი ფონდი სოფლების ბიბლიოთეკებში შეადგენს 59585 ცალს. ბიბლიოთეკები ემსახურება ყველა ასაკის მკითხველს, წლის განმავლობაში სასოფლო ბიბლიოთეკარებს უტარდებათ ტრენინგ-სემინარი. წიგნით საზოგადოებრივი სარგებლობის უზრუნველყოფას და ყველა თაობის განათლებას ემსახურება ბიბლიოთეკაში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებები: წიგნის პრეზენტაცია და რეკლამა, პოეზიის საღამოები, ლიტერატურული კომპოზიციები, შემეცნებითი შეხვედრები სკოლებთან ერთად, კინოს ჩვენებები, წიგნის დღე, ზღაპრის დღე, ღია კარის დღე ბაღებისა და საჯარო სკოლის მოსწავლეებთან და სხვა. 2023 წლისათვის გამოყოფილი დაფინანსება- 130,0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ ხონის სამუსიკო სკოლა აერთიანებს 2 განყოფილებას: საფორტეპიანო და საორკესტრო. სამუსიკო სკოლაში სწავლობს 270-ზე მეტი ბავშვი აქედან, საფორტეპიანოზე- 245 ბავშვი და საორკესტროზე-28 ბავშვი. სამუსიკო სკოლის აღსაზრდელები სისტემატიურად მეცადინეობენ მათთვის განსაზღვრულ დღეებში, მონაწილეობას ღებულობენ სასკოლო და სარაიონო ღონისძიებებსა და კონკურსებში. ქვეპროგრამის მიზანია:

- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, აღიზარდოს რაც შეიძლება მეტი კულტურული მსმენელი პროპაგანდა გაუწიოს კლასიკურ მუსიკას;

- მუნიციპალიტეტის წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.

მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების სფეროს განვითარების პროგრამის მიზანია: მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა

ქვეპროგრამა: საინფორმაციო უზრუნველყოფის მხარდაჭერა (ორგანიზაციული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება გაზეთი „ხონი“-ს გამოშვება თვეში ორჯერ. თითოეული გამოშვების ტირაჟი შეადგენს 500 ცალს.

ქვეპროგრამა: ახალგაზრდობის მხარდაჭერა (ორგანიზაციული კოდი 05 03)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული გარემოს შექმნას ახალგაზრდების უშუალო მონაწილეობითა და ჩართულობით; ახალგაზრდების მონაწილეობას საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში; ახალგაზრდებისათვის არაფორმალური განათლების მიწოდებას, რაც გულისხმობს ახალგაზრდებში იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების



განვითარებას, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სრულფასოვნად მონაწილეობისათვის და საკუთარი პოტენციალის მაქსიმალურად რეალიზებისათვის; სპორტული ცხოვრების გააქტიურებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; ახალგაზრდების ფიზიკური გაჯანსაღებისა და განვითარების მიზნით, სხვადასხვა პროექტის/პროგრამის შემუშავებასა და მათ რეალიზებას; ახალგაზრდობის სფეროში პრიორიტეტების განსაზღვრის მიზნით, წინადადებების მომზადებას, ახალგაზრდული სივრცეების რეაბილიტაციის პროგრამებისა და გეგმების შემუშავებასა და მათ განხორციელებაში მონაწილეობის მიღებას; წარმატებული ახალგაზრდების ხელშეწყობას, წახალისებასა და დაჯილდოებას;

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06 00)

მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა - (ორგანიზაციული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება; მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ა(ა)იპ ხონის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი.

პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (ორგანიზაციული კოდი 06 02)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება და სხვა სოციალური ღონისძიებები, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის ხელშეწყობას.

ქვეპროგრამა: შ.შ.მ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის (ორგანიზაციული კოდი 06 02 01)

შ.შ.მ პირებთან დაკავშირებული ღონისძიებებისათვის გამოიყო 28,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ხონის მუნიციპალიტეტში არსებული დღის ცენტრების მხარდაჭერას. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 2 დღის ცენტრი თვრამეტ წლამდე და თვრამეტი წლის ზემოდ ბენეფიციარებისათვის. პროგრამის მიზანია მიწოდებული იქნეს მათზე მორგებული ისეთი სერვისები რაც არ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ გაცემული ვაუჩერით. (მაგალითად ბენეფიციარების ტრანსპორტირება. სახლიდან დღის ცენტრში და დღის ცენტრიდან სახლში).

ქვეპროგრამა: რავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარება (ორგანიზაციული კოდი 06 02 02)

მრავალშვილიან ოჯახებზე ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მრავალშვილიანი ოჯახები რომელთაც ყავთ 4 და მეტი არასრულწლოვანი ბავშვი. ერთჯერადი ფულადი დახმარებ გაიცემა თითოეულ არასრულწლოვან ბავშვზე 50 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. 2023 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 13,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა: 100 და მეტი წლის ასაკს მიღწეული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარება (ორგანიზაციული კოდი 06 02 03)

100 და მეტი წლის ასაკს მიღწეული პირების ერთჯერადი ფულადი დახმარების პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 100 და მეტი წლის ასაკს



მიღწეული პირები. ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვრება 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. 2023 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 0,5 ათასი ლარს.

ქვეპროგრამა: სოციალური (ერთჯერადი) ფულადი დახმარება (ორგანიზაციული კოდი 06 02 04)

სოციალური (ერთჯერადი) დახმარების პროგრამის მოსარგებლეს წარმოადგენს ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სოციალურად შეჭირვებული ოჯახები, რომლებსაც სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ 2015 წლის 1 ივლისიდან მინიჭებული აქვთ 65 001-დან 90 001-მდე სარეიტინგო ქულა. დახმარება ოჯახზე განისაზღვროს 100 (ასი) ლარის ოდენობით 2023 წელს გამოყოფილი თანხა შეადგენს 70,0 ათასი ლარი.

ქვეპროგრამა: ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირების ერთჯერადი სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსების/ თანადაფინანსების პროგრამა (ორგანიზაციული კოდი 06 02 05)

